



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობერიძე ოთარ ლეონტის ძე



კობერიძე ოთარ ლეონტის ძე (17. XII. 1924, თბილისი, – 9. III. 2015, იქვე), კინომსახიობი, რეჟისორი. საქართვე. (1968) და აფხაზეთის არ (1981) სახ. არტისტი. სწავლობდა თბილ. კინოსტუდიასთან არსებულ კინომსახიობთა სკოლაში. პირველი როლი (ბესარაბიელი პარტიზანი) შეასრულა ნ. შენგელაიას ფილმში „შავი მთები“ (1941). II მსოფლიო ომის დროს 17 წლის კ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. საქართვე. თეატრ. ინ-ტი (1948). მუშაობდა სოხუმის დრამ. (1950–56) და კ. მარჯანიშვილის სახ. (1956–64) თეატრებში.

ო. კობერიძე

კ-მ 1956 მთავარი როლი შეასრულა რეჟ. ლ. ესაკიას ფილმში „ბაში-აჩუკი“, რ-მაც დიდი პოპულარობა მოუტანა და განსაზღვრა მისი, როგორც ლირ.-რომანტ. და გმირული როლების შემსრულებლის ამპლუა. კ-მ შექმნა სხვადასხვა ეპოქის, განსხვავებული ხასიათის, ეროვნების, სოც. წრის პერსონაჟთა სახეები ყველა ჟანრის ფილმში, თუმცა მისი ბუნებისათვის უფრო ახლობელი იყო მაღალი ზნეობრივი იდეალების მქონე გმირები. ქართ. ფილმებში შესრულებულ როლებს შორის აღსანიშნავია: ოთარი („მე ვიტყვი სიმართლეს“, 1957), დათა („სხვისი შვილები“, 1958), მაჰმუდი („მამლუქი“, 1958), გურამი („შენყვეტილი სიმღერა“, 1960), გურამი („ზღვის შვილები“, 1964), კიაზო („დაისი“, 1971), სეხნიევი („დათა თუთაშხია“, 1978), ტარსაიჭ ორბელი („დემეტრე II“, 1982) და სხვ.

კ-ს ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდიებში. მუშაობდა მ. კალატოზოვთან („წითელი კარავი“, 1970, სსრკ-იტალია, შეასრულა ჩეჩონის როლი), ჯუმბაე დე სანტისთან („ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ“, 1964, იტალია), გ. ჩუხრაისთან („ცხოვრება მშვენიერია“, 1980, რფ), ა. ასკოლდოვთან („კომისარი“, 1967, რფ), ა. ჟებრიუნასთან („პატარა უფლისწული“, 1966, ლიეტუვა). მესრულებული აქვს მრავალი ეპიზოდური როლი: აკაკი („ქალის ტვირთი“, 1957), ლევანი („დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, 1959), ჰენრი („713 ითხოვს დაფრენას“, 1960, რფ), სულთანი („ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, 1966, რფ), ნადირ-ხანი („მისია ქაბულში“, 1970, რფ), შაჰ ქაუსი („თქმულება რუსტამზე“, 1971, ტაჯიკეთი), პატრიარქი დოსითეოსი („ანთიმოზ ივერიელი“, 2001) და სხვ. კ-მ, როგორც რეჟისორმა, გადაიღო ფილმები: „ოცნების შესახვედრად“ (მ. კარიუკოვთან ერთად, 1963, რფ), „გამსვლელი პაიკი“ (გ. დოჩანაშვილის მოთხრობის მიხედვით, 1970), „ელოდეთ მოკავშირეს“ (1979, უკრაინა), „სიბრძნის კარავი“ (1982), „ვინ არის მეოთხე?“ (1985), «ოპერაცია „ვუნდერლანდი“» (1988), „საბედისწერო გასროლა“ (1990). 2009 თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ, გაიხსნა „ოთარ კობერიძის ვარსკვლავი“. დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ო. კობერიძე. კადრი ფილმიდან "მამლუქი" (მაჰმუდი), რეჟისორი დ. რონდელი, 1958

მ. კერესელიძე